აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№56 (24.936) შაბათი, 4 - 6 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 24-29, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრატისლავაში გლობალური უსაფრთხოების ფორუმს დაესწრო. „ჩვენ შევასრულეთ საშინაო დავალება, ველოდებით ევროკავშირის გადაწყვეტილებას, სტატუსის მინიჭება ან არმინიჭება არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეს გახლავთ სტრატეგიული და ასევე მორალური თემა... ქართველები ყოველთვის იქ ვართ, სადაც ევროპას ვჭირდებით“, - განაცხადა პრემიერმა ფორუმზე და დასძინა: „სიმბოლურ პოლიტიკურ სტატუსს თუ არ ვიღებთ, მაშინ როცა ქართველი ერის უმრავლესობა ევროპისკენაა, ძნელი იქნება დასავლეთის უარყოფითი გადაწყვეტილების აღქმა!“

* * *

„ოცნების“ მხარდაჭერით ვიყავი არჩეული. პირველივე დღიდან ნათელი იყო, თუმცა ზოგზოგიერთს არ სჯეროდა, რომ მე ვარ დამოუკიდებელი, ზეპარტიული, არ ვარ არცერთი პარტიის ხელში, არც მის ინსტრუქციებს ვიღებ, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, კარგია, ქვეყანაში თუ არის მრავალფეროვნება. პრეზიდენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი, თავის აზრს ამბობდეს სხვადასხვა საკითხზე და ყველა ამას უნდა შეეგუოს.

* * *

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ ევროკავშირი მიიღებს სწორ, პრაგმატულ გადაწყვეტილებას და საქართველოს მიანიჭებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, - განაცხადა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ სლოვაკეთში უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ევროკავშირის გაფართოებას და აღმოსავლეთ სამეზობლოს ეძღვნებოდა. მან სიტყვით გამოსვლისას ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გატარებულ რეფორმებზე და არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოზე ისაუბრა.

* * *

საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ევროპარლამენტის წევრებს - საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მარინა კალიურანდს და საქართველოს საკითხზე მომხსენებელ სვენ მიკსერს შეხვდა. განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალური საკითხები, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ქვეყანაში განხორციელებული თუ მიმდინარე რეფორმები.

მოამზადა
ია შველიძემ

პრემიერ-მინისტრის ვიზიტი – ბრატისლავაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრატისლავაში გლობალური უსაფრთხოების (GLOBSEC) ფორუმს დელეგაციასთან ერთად დაესწრო. *რიგით მე-17 ფორუმზე, რომელიც დელეგატებს 67 ქვეყნიდან მასპინძლობდა, მათ შორის 10 პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს, მსოფლიოში უსაფრთხოებისა და ქვეყნების მდგრადობის განმტკიცების გზებზე, უკრაინის მხარდასაჭერად ქმედითი ნაბიჯების გადადგმასა და ევროპული სამეზობლოს გაძლიერებაზე, ასევე, ქვეყნების მდგრადობის განსამტკიცებლად დასავლეთის რესურსების მობილიზებაზე იმსჯელეს.*

გლობალური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს მაროშ შევჩოვიჩს შეხვდა. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს მიერ შევსებული კითხვარი, ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი და განხორციელებული რეფორმები იყო შეხვედრის მთავარი თემები.

აღინიშნა ის პროგრესი, რომელსაც ქვეყანამ ამ პროცესში, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების განხორციელების კუთხით მიაღწია. პრემიერმა განაცხადა, რომ საქართველომ უკვე შეასრულა ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების 45% და ეს პროცესი გრძელდება.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია და ამ გზაზე ქვეყანა კომპლექსური რეფორმების განხორციელებას განაგრძობს.

შეხვედრისას საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე ომს და მის გავლენას ფართო რეგიონში უსაფრთხოების გარემოზე.

პრემიერმა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ასევე ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მთავრობის ერთგულებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკისადმი.

„ძალიან კარგი საუბარი მქონდა საქართველოს მეგობართან - ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ მაროშ შევჩოვიჩთან. მე მას კვლავ დავუდასტურე, რომ ჩვენ ევროპული გზის ერთგულნი ვრჩებით, რაც ქართველი ერის უძველესი არჩევანია. ევროკავშირისადმი საქართველოს ერთგულება ამ გზაზე გადადგმულ ყოველ ნაბიჯში დასტურდება - იქნება ეს კომპლექსური რეფორმები, ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობა თუ ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა“, - აღნიშნა პრემიერმა.

ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი სლოვაკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ედუარდ ჰეგერს შეხვდა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების გზები განიხილეს. გამოითქვა ორმხრივი მზადყოფნა სექტორული კავშირების გაფართოების, სავაჭრო-ეკონომიკურ და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით. საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე ომს და მის გავლენას რეგიონულ უსაფრთხოებაზე.

ირაკლი ღარიბაშვილმა სლოვაკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ისევე, როგორც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის, მადლობა გადაუხადა. აღნიშნა, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის, არამედ საქართველოს მოსახლეობის არჩევანია და განხორციელებული რეფორმები, ასევე, ასოცირების შეთანხმების შესრულების კუთხით მიღწეული პროგრესი და უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში შევსებული კითხვარი, საქართველოს აძლევს საფუძველს, ჰქონდეს ოპტიმისტური მოლოდინი ევროკომისიის დასკვნასთან მიმართებაში. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისთვის - საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების განხილვის პროცესში.

„დროული და მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა სლოვაკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ედუარდ ჰეგერთან. ევროკავშირში წევრობის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ წინსვლასთან ერთად, ორმხრივი თანამშრომლობა განვიხილეთ. ძალიან ვაფასებთ სლოვაკეთის რესპუბლიკის ცალსახა მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მოამზადა
ელენე საყვარელიძემ

მეცნიერები სამინისტროს პროგრამებში ჩაერთვებიან 2

«პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდე ნებისმიერი ამომრჩევლის წინაშე» 4

«პუტინის რუსეთის რეჟიმი უნდა გასამართლდეს»... 3

«რაც უფრო კარგი აღრეული განათლება გვაქვს, მით უფრო ნაკლებია კრიმინალი»... 5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მეცნიერები სამინისტროს პროგრამებში ჩაერთვებიან

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ გურამ ალექსიძეს შეხვდა. მინისტრმა მას უწყების პრიორიტეტული მიმართულებები და სამომავლო ხედვები გააცნო

შეხვედრაზე განიხილეს მეცნიერების ჩართულობა სამინისტროს პროგრამებში და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

მინისტრმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგრარული სექტორის განვითარების მოდელი. როგორც აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ აღნიშნა, სოფლის მეურნეობის განვითარებას სჭირდება სწორედ ისეთი ხედვა, როგორიც მოისმინა აჭარის სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრისგან.

შეხვედრას მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა და მრჩეველი მამუკა თურმანიძე ესწრებოდნენ.

შეხვედრა - აგროსერვისცენტრის თანამშრომლებთან

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, მოადგილე მირიან ქათამაძესთან ერთად, ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ თანამშრომლებს შეხვდა

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ხედვების გაზიარება დარგის განვითარებასთან დაკავშირებით. ასევე, განიხილეს სამომავლო გეგმები.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სამუშაო შეხვედრას ერთგვარი გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, შესაბამისად, განიხილეს ყველა სტრატეგიული მიმართულება.

- ჩვენ გავაგრძელებთ იმ პროექტების განხორციელებას, რომელიც დაწყებული გვაქვს, აქტიურად დავიწყებთ მუშაობას 2023 წლის პროგრამების შემუშავებაზე, გავაანალიზებთ ყველა მნიშვნელოვან საკითხს და, საჭიროების შემთხვევაში, ავსახავთ მომავალი წლის პროექტებში, - განაცხადა მინისტრმა.

აჭარაში სახელმწიფო დაფინანსებით საცხოვრებელი ფართები კიდევ 10-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის პროგრამის - „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა“ ფარგლებში, 10 ეკომიგრანტ ოჯახს საცხოვრებელი ფართი ქალაქ ბათუმის იუსტიციის სახლში საკუთრებაში დაურეგისტრირდა.

- სამინისტრო ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამას 2016 წლიდან ახორციელებს. წელს უწყებამ ამ მიმართულებით თანადაფინანსება 30 000 ლარამდე გაზარდა. აღნიშნული პროგრამით, საცხოვრებლის პრობლემა სტიქიის შედეგად დაზარალებულ არაერთ ოჯახს ეხსნება. პროგრამა ვრცელდება აჭარაში რეგისტრირებულ ყველა ეკომიგრანტ ოჯახზე, - აღნიშნა მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძემ.

მიმდინარე წელს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის ბიუჯეტი 3 000 000 ლარს შეადგენს. პროგრამით გათვალისწინებულია 100 სახლის ან ბინის შეძენა.

პედაგოგებს ღვაწლი დაუფასეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

35 წლის წინ დარიკო სირაბიძე ჭვანის სკოლასთან არსებული სასკოლო ინტერნატის აღმზრდელად დაინიშნა. ორი წლის შემდეგ ამავე სოფლის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლობა ანდეს. უანგაროდ, კეთილსინდისიერად, პროფესიული პასუხისმგებლობით უდგება მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს. სერტიფიცირებული პედაგოგი ახლა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად იბრძვის.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ინსტიტუტი ჭვანელმა რამაზ ქათამაძემ. იგი ჟანივრის 8-წლიან სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად დაინიშნა. რამაზი ერთხანს კახეთში ცხოვრობდა და შრომობდა. 8 წლის წინ ისევ მშობლიურ სოფელს და თავის პროფესიას დაუბრუნდა. ახლაც ჭვანის საჯარო სკოლის სერტიფიცირებული მასწავლებელია.

ახლანდელი შუახევის რაიონის ტერიტორიაზე მეორე ქართული სკოლა სოფელ ჭვანაში აღდგა. აპოლონ წულაძე თავის ჩანაწერებში, რომელიც სტამბოლის ქართულ სავანეში ჩვენმა მკვლევარებმა შუშანა ფუტკარაძემ და როინ მალაყმაძემ აღმოაჩინეს, წერს: «დაგვრჩა ახალ სკოლებში ჭვანის სკოლის ამბავი. ამ სკოლის მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ მასწავლებლად არის გორის საოსტატო სემინარიელი სვანი ლიპარტიანი, რომელიც, იმედია, თავის მოწოდებას გაამართლებს».

ჭვანის სკოლამ აღდგენიდან საუკუნოვანი იუბილე სკოლის ახლანდელი დირექტორის ლევან კილაძის ინიციატივით, 2016 წელს გადაიხადა. ამჯერად ღვაწლი დარიკო სირაბიძესა და რამაზ ქათამაძესაც დაუფასეს და დაბადებიდან 60 წლისთავის იუბილე საზეიმოდ აღნიშნეს.

ღვაწლმოსილ პედაგოგებს მიესალმნენ სკოლის დირექტორი ლევან კილაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარიძე, კოლეგები თამარ შაინიძე და სულიკო ზოიძე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი: «გვიყვარხარ, მასწავლებელო!», წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. იუბილარებს სამახსოვრო საჩუქრები და მადლობის ბარათები გადასცეს.

დარიკო სირაბიძემ და რამაზ ქათამაძემ საღამოს ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადეს.

- ამ დღემ ცხადყო, რომ ჩემს საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. საღამოზე ყოფილი მოსწავლეებიც მრავლად იყვნენ. მინდა კიდევ დავრჩე მომავალი თაობის აღზრდის სამსახურში, - თქვა დარიკო სირაბიძემ.

ამბები

ბათუმი - ყურადღების ცენტრში

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმი, როგორც ევროპის ფარული მარგალიტი, ცნობილი მედიაპლატფორმების ყურადღების ცენტრში მოექცა - **Conde Nast Traveler Spain**-ი, **Forbes USA, Forbes Brazil**-ი, **Euronews**-ი და **Yahoo France** იმ 10-მდე გამოცემას შორისაა, რომლებიც პოპულარული სამოგზაურო პლატფორმის **European Best Destination**-ის რეიტინგს ეხმაურებიან და ევროპის ტურისტულ მიმართულებებთან ერთად, ბათუმზე სტატიებს აქვეყნებენ. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

Forbes USA მილიონობით მკითხველს ბათუმის მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტებზე, ისტორიასა და კულტურაზე ესაუბრება.

„მდიდარი ისტორიით, მემკვიდრეობით, მსოფლიოში უნიკალური მუზეუმებით და ევროპის ყველაზე თამამი არქიტექტურით, ბათუმი ასევე, საინტერესო მიმართულებაა გურმანებისა და ღვინის მოყვარულთათვის“, - წერს გამოცემა.

ბათუმის ძირითად ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, საზღვაო-სამთო ტურისტულ პროდუქტებს მკითხველს პოპულარული გამოცემა **Cond Nast Traveler**-ი აცნობს.

„ბათუმი ისეთი კერძებით გაგაოცებთ, როგორიცაა აჭარული ხაჭაპური, ბადრიჯანი, ხინკალი, ან ჩიხირთმა და, რა თქმა უნდა, ბათუმს კარგი ქართული ღვინის დაგემოვნების გარეშე ვერ დატოვებთ“, - აღნიშნულია სტატიაში.

„აღმოაჩინე შავი ზღვის რეგიონი, სადაც სანაპიროები და თოვლიანი მწვერვალები ერთმანეთს ერწყმის“ - ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას **Euronews**-ი.

სტატიაში ჟურნალისტი რეგიონის ისტორიაზე, კულტურაზე, ტრადიციებსა და ტურისტულ პროდუქტებზე საუბრობს.

„გადაეშვი აჭარის მრავალფეროვან პეიზაჟებში და აღმოაჩენ, რომ საქართველოს ეს ისტორიული რეგიონი სავსეა უძველესი არქიტექტურული მარგალიტებით, თვალწარმტაცი ბუნებითა და მღელვარე თავგადასავლებით, რომ აღარაფერი გთქვათ ღვინის კულტურაზე, რომლის შესახებ იუნესკოც კი მოწმობს“, - წერს გამოცემა.

ბათუმის კლიმატსა და აჭარის ეროვნულ პარკებზე ყურადღებას **Forbes Brazil**-ი ამახვილებს.

„სუბტროპიკული და რბილი კლიმატიდან გამომდინარე, ბათუმის დათვალიერება მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ სეზონზეა შესაძლებელი. რეგიონის ეროვნული პარკები იუნესკოს სიაში შევიდა, როგორც მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლები“, - აღნიშნულია სტატიაში.

European Best Destination-ის რეიტინგში ბათუმის, როგორც ევროპის საუკეთესო ფარული მარგალიტის გამოვლენის შემდეგ, სამოგზაურო პლატფორმის გვერდზე ბათუმის მიმართულებით ინტერესი გაიზარდა.

როგორც **EBD**-ს წარმომადგენლები აცხადებენ, დუბლინის, ათენის, ფუნჩალის, ნოტინგემის გვერდით მომხმარებლები ბათუმის მიმართულებას აქტიურად ჯავშნიან.

„პუტინის რუსეთის რეჟიმი უნდა გასამართლდეს და გამოცხადდეს კაცობრიობისთვის საფრთხის შემცველ მმართველ ძალად“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის ისტორიაში 24 ივნისი შესაძლოა, უმნიშვნელოვანეს თარიღად ჩაიწეროს - არ არის გამორიცხული, ზემოაღნიშნულ ქვეყნებს ევროკავშირმა წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, რაც, ცხადია, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის მარცხი და დასავლეთის გამარჯვება იქნება.

*რამდენად მზად ვართ ევროსტრუქტურებში გასაერთიანებლად და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ საწადელს მივაღწიოთ? - სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თავის თვალსაზრისს საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი **ბიბა წარტენაძე** გვიზიარებს.*

- ვიდრე ევროკავშირის მოახლოებულ სამიტზე ვისაუბრებდეთ, მინდა გკითხოთ: რა კორექტივები შეიტანა უკრაინაში მიმდინარე ომმა ევროკავშირის გამოწვევებში?

- ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ევროკავშირის გამოწვევების ორი ტალღა - რუსეთის უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე შეჭრამდე და შეჭრის შემდეგ პერიოდებში პირველი კორექტივაა ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვისუნარიანობის ახალი და ეფექტური გარანტიების ძიება, რათა თავიდან აიცილონ რუსეთის დამპყრობლური ამბიციები, მეორე - თუ ევროკავშირი აქამდე ფიქრობდა, რომ მის მეზობლად კეთილგანწყობილი სახელმწიფოები არიან და მშვიდად უნდა ყოფილიყვნენ, ეს იმედი დაიმსხვრა, რადგან, როგორც ვიცით, უკრაინას პირდაპირი საზღვარი აქვს ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა აღმოსავლეთ ევროპა. მესამე - უკრაინიდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიგრაციის საკითხები; მეოთხე, რაც ერთგვარ დადებით მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ, გახლავთ ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგში უკრაინის ევროატლანტიკურ ოჯახში გაწევრიანების დაჩქარებული წესით მიღების პერსპექტივები. რა თქმა უნდა, ჩამონათვალი შეგვიძლია გავაფართოოთ, თუმცა ძირითადი ესაა.

- როგორც ცნობილია, 24-25 ივნისს ევროკავშირის სამიტი გაიმართება, რომელზეც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილება უკრაინის, მოლდოვის და საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. რამ განაპირობა დასავლეთის მხრიდან ამ პროცესის დაჩქარება?

- არახალია თუ ვიტყვით, რომ ამ პროცესების გაღვივებას ხელი შეუწყო რუსეთის მხრიდან უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყებამ. გარემოების გათვალისწინებით, ევროკავშირი დგას ურთულესი გამოწვევის წინაშე - შეინარჩუნოს და უერთგულოს იმ ღირებულებებს, რომლებიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ჩადო ინვესტიციის სახით თუ, უბრალოდ, რუსეთთან დაგვტოვოს პირისპირ უთანასწორო ბრძოლაში და შედეგად მივიღოთ ახალი ოკუპირებული ტერიტორიები, დაქსაქსული საზოგადოება და ნიჰილიზმის კერები.

- რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით?

- კანდიდატის სტატუსის მოპოვებას სჭირდება ე. წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება. მოცემული ვალდებულებები მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ეკონომიკური სტაბილურობა, კორუფციის დაძლევა, ადამიანის უფლებების დაცვა... რაც შეეხება სიკეთეებს და ბენეფიტებს: პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამს რუსეთის მეხუთე კოლონას ჩვენს ქვეყანაში, დასრულდება სპეკულაციები საქართველოს საგარეო ორიენტაციის შესახებ, რაც, ვფიქრობ, უდიდეს გამოწვევად იქცა ქართული პოლიტიკური დღის წესრიგისთვის; გაძლიერდება ადგილობრივი თვითმმართველობები, უფრო მეტად თავისუფალი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული გახდება მართლმსაჯულების სისტემა, ორმაგად გაძლიერდება სამოქალაქო საზოგადოება და სხვა. რაც შეეხება ეკონომიკურ ფაქტორს - ძლიერი ეკონომიკა ქმნის ძლიერ სახელმწიფოს და პირიქით. ჩვენ ვერ მივაღწევთ პოლიტიკურ სიკეთეებს, თუ მას თან არ ახლავს ეკონომიკური კეთილდღეობა.

- არახალია, რომ ევროკავშირთან დასაახლოებლად ბევრი რეფორმაა გასატარებელი, ადრინდელი რეფორმები რამდენად თანმიმდევრულად განხორციელდა და ამ მხრივ ვაკმაყოფილებთ თუ არა დასავლურ სტანდარტებს?

- გაფართოების პოლიტიკა წევრობის კანდიდატისგან ითხოვს სხვადასხვა სფეროში კომპლექსური რეფორმების გატარებას, მათ შორის კანონის აღსრულების, ეკონომიკის მიმართულებებით რეფორმებს ისევე, როგორც კორუფციისა და დანაშაულის აღმოფხვრას. ასევე მნიშვნელოვანია შეთანხმებული ურთიერთობები და რეგიონული თანამშრომლობა დანარჩენ წევრ ქვეყნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ხანგრძლივი და კომპლექსური პროცედურაა, რაც 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარი ბლოკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის რეფორმას მოითხოვს. როგორც წესი, წევრობის კანდიდატობაზე განაცხადის შეტანამდე ქვეყანა იღებს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას. საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერა, რაც ევროკავშირთან ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაახლოებას გულისხმობს და მათ შორის ითვალისწინებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებსა და უვიზო მიმოსვლას შენგენის ზონაში. წევრობის კანდიდატის სტატუსი ევროკავშირამდე მისასვლელი გზის პირველი ეტაპია. თანაც სტატუსის მქონე ქვეყნებს არ აქვთ გარანტია, რომ ევროკავშირის წევრები ოდესმე გახდებიან. ინდივიდუალურია გაწევრიანებისთვის საჭირო დროც, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი არათუ შემსუბუქდება, არამედ, პირიქით, გამადიდებელი მინით დაგვაკვირდებიან იმ სფეროებში, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის აქილევსის ქუსლად შეიძლება ჩაითვალოს.

- ოპოზიცია აცხადებს, რომ ნიკა გვარამიას დაპატიმრება არყევს ქართული დემოკრატიის იმიჯს დასავლეთში, რას ფიქრობთ?

- მე არ შევალ ამ საქმის სამართლებრივი განხილვის ჭრილში, თუმცა ის ფაქტი, რომ ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზიის ხელმძღვანელია დაკავებული, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნებს ბადებს, მათზე კი მხოლოდ გასაგები, თანმიმდევრული და სწორხაზოვანი პასუხები უნდა ისმოდეს.

- ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უკრაინას უფრო მეტი შანსი აქვს ევროკავშირთან დასაახლოებლად, ვიდრე საქართველოს და მოლდოვას, თქვენი აზრი ამის თაობაზე?

- ომში ჩართული ქვეყნის შედარება ევროკავშირის მხარდაჭერის თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. თუმცა ფაქტი ერთია, უკრაინაში შექმნილმა სიტუაციამ დააჩქარა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი.

- რას მოიმოქმედებს კრემლი ამ სამი პოსტსაბჭოთა ქვეყნის (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) დასავლური კურსის შეფერხებისთვის და ამ მიმართებით აშშ-ის პრინციპულ პოზიციას რა მნიშვნელობა ენიჭება?

- რუსეთი ერთგვარ სადამსჯელო ოპერაციას ატარებს იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც ღიად გამოხატავენ პროდასავლურ საგარეო კურსს. ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების სურვილს რუსეთი ვერ ეგუება და მზად არის, ამ ნაბიჯების შესაჩერებლად დაბომბოს სრულიად უმწეო და მშვიდობიანი მოსახლეობა, ააფეთქოს საავადმყოფოები, სკოლები, ბაღები და ა. შ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს სამი ქვეყანა მტკიცედ დგას ევროპული ღირებულებებისა და პრინციპების სადარაჯოზე. ის, რაც დღეს საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას ყველაზე მეტად სჭირდება, არის 27 სახელმწიფოს მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუცია მათი ჯერ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების, შემდეგ კი ოჯახის სრულყოფილ წევრად გამოცხადების შესახებ. რა თქმა უნდა, ამ პროცესში აშშ-ის პრინციპულ პოზიციას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი.

- როგორ ფიქრობთ, რუსეთი ნატოს მსგავსად, ევროკავშირსაც რატომ აღიქვამს საფრთხედ?

- რუსეთი ვერ ეგუება ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებელ თამაშს, მათი წარმატება მოსვენებას უკარგავს. მისთვის საფრთხეა არა მხოლოდ ნატო, არამედ ევროკავშირის წევრობაც, რადგან ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების ხილვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურად გამართულ სახელმწიფოებს შორის, გავრცელებულ მოსაზრებას - „რუსეთის გარეშე კარგად ვერ ვიქნებით“ ერთხელ და სამუდამოდ მითად აქცევს.

- რა აჩვენა მსოფლიოს უკრაინაში რუსეთის ომის მეოთხე თვემ?

- პირველი - უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე შეჭრის შემდეგ, მთელი მსოფლიო თვიდან თვემდე თვალს ადევნებს, როგორ იმსხვრევა რუსეთის უძლეველობის მითი. მეორე - დასავლეთის არა მხოლოდ პოლიტოკოსების, არამედ სამოქალაქო საზოგადოების, ფაქტობრივად, სრული მობილიზება და გაერთიანება უკრაინის და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად. მესამე - დასავლეთშიც აღმოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომელთა ლუსტრირებაც მოხდა რუსეთის სასარგებლოდ პოზიციონირებაში. მეოთხე საინტერესო დეტალს მინდა გავუსვათ ხაზი - რუსეთი თავს ესხმის ისეთ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან რომელიმე სამხედრო თუ ეკონომიკური გაერთიანების წევრები, რატომ? იმიტომ, რომ ძლიერთან ბრძოლა აშინებს. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ფინეთ-შვედეთის ნატოში გაწევრიანების საკითხი. თუ უკრაინას ომს უცხადებ იმის გამო, რომ ნატოს გაფართოებას არ უშვებ შენს საზღვრებთან, ფინეთის შემთხვევაში ეს არგუმენტი აზრს მოკლებულია? ის საზღვარი საზღვარი არ არის და მხოლოდ უკრაინა-საქართველოსთან დამაკავშირებელი საზღვრებია სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი?!

- ამას წინათ ევროპარლამენტმა კენჭისყრით მხარი დაუჭირა რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას, ეს რისი მანიშნებელია?

- პუტინის რუსეთის რეჟიმი უნდა გასამართლდეს და გამოცხადდეს კაცობრიობისთვის საფრთხის შემცველ მმართველ ძალად. ალბათ, ვერასდროს წარმოედგინა ჰიტლერს, რომ ბუნკერში მოუწევდა თავისი სიცოცხლის ბოლო წუთების გატარება, ან კადაფს - სიცოცხლის ისე დასრულება, როგორც დაასრულა... მოკლედ რომ ვთქვათ, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

- დაბოლოს, ევროპული იდეა რამდენად ემთხვევა ქართულ იდეას, რა ფასეულობები გვაერთიანებს?

- ოჯახი, თავისუფლება, პლურალიზმი, შემწყნარებლობა, ტრადიციების პატივისცემა - ეს არის ჩვენი ქვეყნის ფასეულობათა ერთობლიობა უძველესი დროიდან მოყოლებული, რაც, ვფიქრობ, კავშირშია ევროპულ იდეასთან.

> *„თუ უკრაინას ომს უცხადებ იმის გამო, რომ ნატოს გაფართოებას არ უშვებ შენს საზღვრებთან, ფინეთის შემთხვევაში ეს არგუმენტი აზრს მოკლებულია? ის საზღვარი საზღვარი არ არის და მხოლოდ უკრაინა-საქართველოსთან დამაკავშირებელი საზღვრებია სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი?!*

უკრაინაში ომის დაწყებიდან მეასე დღეს...

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „ტვიტერზე“ გამოეხმაურა:

„100 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა გაუმართლებელი აგრესია დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ; 100 დღე, რაც უკრაინამ აჩვენა, რომ შეუძლია დაამარცხოს ძალა, რომელიც ოდესღაც დაუმარცხებლად აღიქმებოდა; 100 დღე, რაც ევროპამ და ცივილიზებულმა სამყარომ აჩვენა ერთობა გამოწვევების წინაშე“, - წერს პრეზიდენტი.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

უკრაინაში ომი მოლაპარაკების მაგიდასთან დასრულდება, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან,

ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისთან და პრეზიდენტის მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანთან შეხვედრის შემდეგ. როგორც მან აღნიშნა, აშშ-ის უმაღლესი თანამდებობის პირებთან ივნისის ბოლოს მადრიდში დაგეგმილი ნატოს სამიტისთვის მზადება განიხილა, რომელიც „უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტ დროს გაიმართება“. „ომები ბუნებით არაპროგნოზირებადია და, აქედან გამომდინარე, უბრალოდ, მომზადებული უნდა ვიყოთ ხანგრძლივი პერიოდისთვის“, - განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლიდერმა.

* * *

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ქურთი „ტერორისტების“ წინააღმდეგ სამხედრო მუქარა განაახლა. აღნიშნულს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერი მარია ზახაროვა გამოეხმაურა: „იმედი გვაქვს, ანკარა თავს შეიკავებს ქმედებებისგან, რომლებმაც შესაძლოა, სირიაში ისედაც რთული სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესოს“. მისივე თქმით, სამხედრო კამპანია, რესპუბლიკის ლეგიტიმურ მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, სირიის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა იქნება და იქ დაძაბულობის ესკალაციას გამოიწვევს. ზახაროვა გამოეხმაურა სანქცირებულთა სიაში მის შეყვანასაც და აღნიშნულს „მორიგი პერფორმანსი“ უწოდა.

* * *

მცდარი დაგეგმარება და ცუდი ტაქტიკური შესრულება - გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშის თანახმად, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ რუსულმა ძალებმა ვერ მიაღწიეს დასახულ მიზანს - დაეკავებინათ კიევი და უკრაინის სამთავრობო ცენტრები. ანგარიშშივე წარუმატებლობის მიზეზებს შორისაა უკრაინის მტკიცე წინააღმდეგობა. „რუსეთის თავდაპირველი გეგმის მიხედვით, არცერთი სტრატეგიული მიზანი მიღწეული არ არის. რუსეთმა რაიმე წარმატებას რომ მიაღწიოს, დასჭირდება ცოცხალი ძალისა და აღჭურვილობის უზარმაზარი ინვესტიცია და მნიშვნელოვანი დრო“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

* * *

ხორვატია 2023 წლიდან ევროზონის ქვეყნებს შეუერთდება. ევროკომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულმა ქვეყანამ შეასრულა ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის ყველა საჭირო პირობა და შეუძლია, ევროზონის ქვეყნებს მომავალი წლის იანვრიდან შეუერთდეს. „ხორვატია მზად არის ევროს ადაპტირებისთვის, რომლის შედეგადაც ევროზონის წევრი ქვეყნების რაოდენობა 20-მდე გაიზრდება“,- ნათქვამია განცხადებაში.

**მოამზადა
ია შველიძემ**

„პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდე ნებისმიერი ამომრჩევლის წინაშე“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

რამაზ გელაძე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა. პოლიტიკაში მოსვლამდე მშობლიური სოფელ დანისპარაულის საჯარო სკოლის დირექტორი იყო. იგი ჩვენი სტუმარია

- ბატონო რამაზ, რამ განაპირობა თქვენი პოლიტიკაში მოსვლა?

- თითოეული ადამიანის ვალია, პირადი წილი გაიღოს მშობლიური კუთხისა და ქვეყნის მშენებლობაში. განათლების სისტემაში მუშაობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ შემეძლო უნარები სხვა მიმართულებითაც გამომეყენებინა, ჩემი სოფლის, თემის, მუნიციპალიტეტის და ქვეყნის განვითარებაში ჩემი წვლილი შემეტანა.

- მშრომელ, მიწას მიჯაჭვულ ოჯახში გაიზარდეთ...

- ბავშვობიდან, ოჯახის წევრებთან ერთად, ჩართული ვიყავი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. დღესაც ასეა, მეუღლე და შვილები მეხმარებიან, მიწაზე შრომა ოჯახის ეკონომიკურად გაძლიერებაში გვეხმარება. რაც დღემდე შევქმენით, ამ შრომითაა მოპოვებული.

- წინა ხელისუფლების მმართველობის წლებში თქვენს ოჯახზე დიდი შემოტევა იყო...

- დიახ, მამაჩემი გახლდათ პოლიტიკური დევნის, ანგარიშსწორების მსხვერპლი. არასდროს დამავიწყდება „ნაცმოძრაობის“ ზონდერების დაუმსახურებელი, შეურაცხმყოფელი ქმედება ოჯახის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, არ ვარ განწყობილი მოძალადე ბანდის მიმართ რევანშისტული სულისკვეთებით.

- თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებში ჯერ მაჟორიტარად, შემდეგ პროპორციული სიით მოსვლა ერთგვარ რევანშად ხომ არ მიგაჩნიათ?

- აღნიშნულ კითხვაზე, ვფიქრობ, პასუხი ნაწილობრივ გავეცი, დავამატებ, რომ ჩემი პოლიტიკაში მოსვლის მიზანი ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობაზე, მათი სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. არც მე და არც მამა რევანშზე არ ვფიქრობთ. ადამიანი მაშინ ხარ ძლიერი, როცა მიტევების უნარი გაგაჩნია.

- გაწონასწორებული ხასიათი, სხვის საქმეებში ჩაურევლობა, რამდენად მომგებიანია დღეს?

- ნებისმიერი საჯარო მოხელე უნდა იყოს გაწონასწორებული, ტოლერანტი, მიზანდასახული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე. ვფიქრობ, ჩემმა ამ თვისებებმა განაპირობა ის, რომ ორჯერ გავხდი ხალხის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

- უკრაინელი თანამოძმეების გმირულ თავდადებაზე რას იტყვით?

- სოლიდარობას და მხარდაჭერას ვუცხადებ უკრაინელ ხალხს, რომლებიც იბრძვიან რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ, უკრაინელებამდე ჩვენც არაერთხელ გავხდით რუსული აგრესიის მსხვერპლი, რაც ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციით დამთავრდა. ცნობისთვის გეტყვით, რომ ჩემი ბიძაშვილი, მამის ძმისშვილი დღემდე ირიცხება უკრაინის შეიარაღებული არმიის რიგებში და უკრაინის სადარაჯოზე დგას.

- რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა თქვენი თანახეობელი ნადიმ ართმელაძეს იმსხვერპლა, ავღანეთის ბრძოლებს შეეწირა მეზობელი სოფლის მკვიდრი მალხაზ შავაძე. რას აკეთებთ მათი გმირობის უკვდავსაყოფად?

- სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა ნადიმ ართმელაძის სახელობისაა, ასევე, სკოლის მიმდებარედ გაკეთდა მემორიალური დაფა ბარელიეფით, ხოლო წინა მოწვევის დეპუტატობის ვადის პერიოდში, ჩემი ჩართულობით, რიყეთის საჯარო სკოლას მიენიჭა მალხაზ შავაძის სახელი.

- პოლიტიკური რეპრესიების ფონზე, აქტიურად იყავით ჩართული კურორტ გოდერძის მშენებლობის სამუშაოებში.

- წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მოსახლეობას კურორტ გოდერძის მიმდებარედ, მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები წაართვეს. 2014 წლიდან სახელმწიფომ აღნიშნული მიწა გამოისყიდა, რამაც ხელი შეუწყო კურორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას, შემოვიდნენ ინვესტორები. ამ დროისთვის ფუნქციონირებს 3 და შენდება 12 სასტუმრო, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავლის ზრდას შეუწყო ხელი. ვფიქრობ, გოდერძი უახლოეს პერიოდში საერთაშორისო დონის კურორტად გადაიქცევა.

- უბანში, სადაც სახლობთ, ეკლესიის ნაშთები და მიწაში ჩამარხული ქვევრებია აღმოჩენილი. წარმომადგენლობითი ორგანო რას აკეთებს ისტორიული და მატერიალურ-კულტურული ძეგლების მოვლა-შენახვისთვის?

- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ტურისტული პოტენციალის განვითარება, რისი ერთ-ერთი კომპონენტიც გახლავთ ხულოს ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ძეგლების დაცვა, აღდგენა და ტურისტულ მარშრუტში ჩართვა. ახლა აქტიურად მიმდინარეობს ხიხანის ციხეზე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ქვეყნის, რეგიონის, თუნდაც ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ტურისტული სააგენტოების მიზანია სანახაობითი ობიექტების კეთილმოწყობა, რაც თავისთავად, ისტორიული ძეგლების მოვლასაც ითვალისწინებს.

- თბილისსა და ბათუმში კეთილსინდისიერი შრომით საცხოვრისი მოიწყვეთ. რა ბედი ელის დანისპარაულში არსებულ სახლს?

- ეს არის მამაპაპისეული, ჩემი ბავშვობის სახლი მისი მეურნეობით და იგი მუდამ იქნება ჩვენი ადგილის დედა, სხვა საცხოვრისი მას ვერ შეცვლის.

- შვილებზე რას გვეტყვით?

- მყავს 3 შვილი, 2 ქალიშვილი და 1 ვაჟი. უფროსი, ქრისტინე უკვე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. შვილებისგან ვითხოვ, რომ იყვნენ შრომისმოყვარეები, ტოლერანტები, თვითკრიტიკულები.

- კურორტმა გოდერძიმ დანისპარაულს ახალი სიცოცხლე შესძინა, ამ ეტაპზე რა პროექტები ხორციელდება?

- აქტიურ ფაზაშია ხულო-ზარზმის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომელიც აღნიშნულ კურორტს ჰაერივით სჭირდება, ასევე მიმდინარეობს კურორტ გოდერძის, სოფელ დანისპარაულის მიმდებარედ, განაშენიანების გეგმის განხილვა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს საშუალებას, გახსნას სხვადასხვა ტიპის კომერციული ობიექტები.

- მწვანე ტბა, დიდაჭარის, ვაშლოვანის იაილები, ველათები მალე ახალი ტურისტული ლოკაციები გახდება. რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ამ ტერიტორიებზე?

- მწვანე ტბის მიმართულებით, გოდერძის უღელტეხილიდან შავ ტბამდე, გაკეთებულია რკინა-ბეტონისსაფარიანი გზა. წელს მწვანე ტბაზე დასრულდება ელექტროენერგიის სტაბილურად, უწყვეტად მიწოდების პროექტი. ადგილზე ვითარდება ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მოეწყო მისასვლელი ბილიკები, მოსასვენებელი ფანჩატურები და სწრაფი კვების ობიექტები. უახლოეს წლებში კურორტი გოდერძი, მწვანე ტბა, გოდერძის ალპური ბაღი, შავი ტბა იქნება ერთიანი კომპლექსური ზონა ტურისტებისთვის ნებისმიერ სეზონზე. ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლის ზრდას.

- ნაომარის ფილაქნების, დანისპარაულის სამშენებლო დეკორატიული ქვის საბადოს ხალხის სამსახურში ჩაყენება სოფელს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დიდ სარგებელს მოუტანს. მათი ათვისება-დამუშავების რა პერსპექტივაა?

- დანისპარაულის მიმდებარედ არსებული სამშენებლო, მოსაპირკეთებელი ქვის საბადო, ინვესტორის დაინტერესების შემთხვევაში, გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას და ეკონომიკურ შემოსავალს. იგივე ითქმის ნაომარის ფილაქნებზეც, სადაც საავტომობილო გზაც გასაყვანია. მიმდინარე წელს ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 4 მილიონი ლარით გაიზარდა. შესაბამისად, გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობაც, რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ცენტრების, სპორტული მოედნების კეთილმოწყობას, ბაგა-ბაღების მშენებლობას, შიდასასოფლო გზებზე ბეტონის საფარის დაგებას, ზოგიერთ სოფელში კულტურული და ადმინისტრაციული შენობების აგებას.

- სოფელზე ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალი გადის. მეწყრული პროცესები, მთის ქანების პერიოდული დაშლა მდინარე აჭარისწყლის სათავეში მასიური ხასიათისაა. გასული საუკუნის დასაწყისში აგებულმა ხიდმა 100 წელსაც ვერ გაძლო. საშიშროება ახლად აშენებულ ხიდსაც ემუქრება. სპეციალისტების პროგნოზი როგორია?

- როგორც აღვნიშნე, მიმდინარეობს ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მშენებლობა. მშენებელ კომპანიებს უწევთ მეწყრულ პროცესებთან გამკლავება. ამ საქმეში ჩართულია გეოლოგიური სამსახური, რაც რისკების მინიმალურ დონემდე შემცირების გარანტიაა.

- რომელს ანიჭებთ უპირეტესობის - პოლიტიკურ საქმიანობას თუ მომავალი თაობის აღზრდას?

- პროფესიით ვარ პედაგოგი. ახლაც ვმუშაობ სკოლაში. საკრებულოს წევრობამდე ვიყავი სკოლის დირექტორი, ჩემთვის პატივია, რომ აქტიურად ვარ ჩართული აღმზრდელობით საქმიანობაში, ასეთივე დიდი პატივია, იყო 2 მოწვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და გრძნობდე პასუხისმგებლობას ნებისმიერი ამომრჩევლის წინაშე.

> *„წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მოსახლეობას კურორტ გოდერძის მიმდებარედ, მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები წაართვეს. 2014 წლიდან სახელმწიფომ აღნიშნული მიწა გამოისყიდა, რამაც ხელი შეუწყო კურორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას, შემოვიდნენ ინვესტორები. ამ დროისთვის ფუნქციონირებს 3 და შენდება 12 სასტუმრო, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავლის ზრდას შეუწყო ხელი*

სარფში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის - ზედა სარფი-კალენდერეს დასახლების 2 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ახალი გზა ტურისტულ ობიექტს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს.

პროექტის მიხედვით, მოეწყობა საყრდენი კედლები, სანიაღვრე არხები, მილები, გაკეთდება ზღუდარები.

პროექტი 1 600 000 ლარით ფინანსდება.

მოყვარულთა ლიგა – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალური ტურნირი ფეხბურთში, რომელიც 28 მაისს დაიწყო, დასრულდა.

შეჯიბრში 8 გუნდი მონაწილეობდა.

გამარჯვებული თხილნარის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი გახდა, რომელიც აჭარის რეგიონული თასის მოსაპოვებლად იასპარეზებს..

მუნიციპალური ტურნირი საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებითა და ხელვაჩაურის მერიის სპორტის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა.

თამარ გაგოშიძე: რაც უფრო კარგი ადრეული განათლება გვაქვს, მით უფრო ნაკლებია კრიმინალი...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ადრეული ხარისხიანი განათლება თითოეული ბავშვის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის კარგი საძირკველია. ბავშვთა ფსიქოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ყველა პრობლემა, რომელსაც სრულწლოვანებაში ვებრძვით, დიდი ალბათობით, ბავშვობიდან მოდის და სათანადო განათლების შეფერხებით მიწოდებითაა განპირობებული. ჩვენს კითხვებს ფსიქოლოგმა ***თამარ გაგოშიძემ*** *უპასუხა, რომელიც ბათუმს საერთაშორისო კონფერენციის „ადრეული განათლება და ზრუნვა“ ფარგლებში სტუმრობდა*

- ადრეული განათლების მოსამზადებელი პროგრამები რამდენად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს?

- ბოლო 7-8 წლის განმავლობაში ჩვენ, სპეციალისტები, განათლების სამინისტრო, იუნისეფის დახმარებითა და მხარდაჭერით, ბევრს ვმუშაობდით, რომ აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად სპეციალური გამოცდილება მიგვეღო. მაგრამ, ბუნებრივია, ეს არის ზღვაში წვეთი. კონფერენცია, რომელსაც ვესწრები, სწორედ იმ კითხვებზე პასუხია, თუ სად ვართ ამ ეტაპზე ჩვენ, რა უნდა

ლობით არის გათვალისწინებული.

- ამ მიმართულებით როგორია თქვენი რეკომენდაციები?

- ორ რეკომენდაციაზე გავამახვილებ ყურადღებას. პირველი და ვფიქრობ, ყველაზე

> *„მშობლები ძალიან ცუდ დღეში არიან, მათ მხარდაჭერა სჭირდებათ დამსაქმებლების მხრიდან, რადგან ძალიან ბევრს მუშაობენ, არც თავისთვის რჩებათ დრო და არც ბავშვებისთვის, ეს, ხშირ შემთხვევაში, იწვევს მშობელსა და შვილს შორის გაუცხოებას, ისინი ვეღარ პოულობენ ერთმანეთში სასაუბრო ენას. ეს კომპლექსური პრობლემაა. მშობლისთვის ჭკუის დარიგება ადვილია, მისი მხარდაჭერა კი რთული*

გაკეთდეს, რა უნდა გავაკეთოთ სპეციალისტებმა და რა - განათლების სამინისტრომ, რაც მთავარია, რა აქტივობები განახორციელოს თვითმმართველობებმა იმისთვის, რომ რეალურად შესრულდეს ის, რაც კანონმდებ-

მნიშვნელოვანი, ეს არის სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება, რაც უშუალოდ თვითმმართველობებს უკავშირდება, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ რაც უნდა მწირი შემოსავალი ჰქონდეთ, ადრეულ განათლებაზე არ დაინანონ თანხა. მთელ მსოფლიოში დამტკიცდა, რომ აქ ჩადებული ყოველი თეთრი, შემდეგში ძალიან დიდ მოგებას იძლევა, ეს არის პირდაპირ დაკავშირებული ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან. რაც უფრო კარგი ადრეული განათლება გვაქვს, საზოგადოებაში მით უფრო ნაკლებია კრიმინალი, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს ეს. ამას ძალიან ბევრი მტკიცებულება და კვლევა ადასტურებს. და მეორე, ფინანსები არის ერთი, მაგრამ არა - საკმარისი. შეიძლება გქონდეს ფული, მაგრამ საქმე ვერ გააკეთო, როგორც ხშირად ხდება ჩვენს ქვეყანაში. რატომ? იმიტომ, რომ არ გვყავს კადრი. ეს ძალიან მწვავე პრობლემაა როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ასევე ჩვენთან, უმაღლეს სასწავლებლებში. იუნისეფი გვეხმარება, სახელმწიფოს მხარს უჭერს, რომ საბაკალავრო პროგრამები შეიქმნას მომავალი სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისთვის. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არა - ადვილი საქმე, ნულიდან გვიწევს დაწყება, მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა დაიწყო? მართალია, ბევრი კარგი საბავშვო ბაღია კარგი და თავდადებული სპეციალისტით, განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ ძალიან მწვავედ დგას პროფესიონალი კადრების სიმწირის პრობლემა.

- პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის დღე ვიზეიმეთ. როგორ ფიქრობთ, ბავშვთა უფლებებზე საუბრით მხოლოდ ერთი დღე ხომ არ შემოვიფარგლებით და რა სიტუაციაა დღეს ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში?

- პირველი ივნისი გვახსენებს უფროსებს, ვარსებობთ იმისთვის, რომ დავიცვათ ბავშვები, შევუქმნათ მათ უსაფრთხო და ნდობით სავსე გარემო როგორც ინტელექტუალური, ასევე პიროვნულ-ემოციური განვითარებისთვის. კარგია, რომ ზეიმით აღვნიშნავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მაგრამ გეთანხმებით, ეს უნდა გვახსოვდეს მთელი წელი და არა ერთი ან ორი დღე. ჩვენ გვიყვარს ბავშვი, ვცდილობთ, რაც შეგვიძლია ყველაფერი გავუკეთოთ, მაგრამ რა არის კარგი ბავშვისთვის, რა ინტერესები აქვს, ეს ხშირად არ ვიცით. და მეორე, რამდენად უხეშადაც არ უნდა ჟღერდეს - ბავშვებს პატივს არ ვცემთ. პატივისცემა არ ნიშნავს იმას, ბავშვს ყველა სურვილი შეუსრულო. ეს ნიშნავს, რომ ბავშვს ასწავლოთ პასუხისმგებლობა და საკუთარი თავის რეგულაცია, რაც ყველაზე რთული პროცესია.

- იმისთვის, რომ შვილებს სრულყოფილი განათლება მისცენ, ძალიან ბევრს შრომობენ მშობლები, თუმცა, აქვე მნიშვნელოვანი პრობლემა ჩნდება - მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის დეფიციტი...

- გეთანხმებით, მშობლები ძალიან ცუდ დღეში არიან, მათ მხარდაჭერა სჭირდებათ დამსაქმებლების მხრიდან, რადგან ძალიან ბევრს მუშაობენ, არც თავისთვის რჩებათ დრო და არც ბავშვებისთვის, ეს, ხშირ შემთხვევაში, იწვევს მშობელსა და შვილს შორის გაუცხოებას, ისინი ვეღარ პოულობენ ერთმანეთში სასაუბრო ენას. ეს, კომპლექსური პრობლემაა. მშობლისთვის ჭკუის დარიგება ადვილია, მისი მხარდაჭერა კი რთული. ვისურვებდი, სახელმწიფოს თუ კერძო კომპანიების მხრიდან მათ ჰქონდეთ მეტი თანადგომა. მაშინ სხვანაირი დამოკიდებულება ექნებათ ბავშვების მიმართაც.

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ქვეყანაში მიმდინარე ომის 100 დღის აღსანიშნავად დავით არახამიას, მიხაილო პოდოლიაკის, დენის შმიგალის, ანდრეი ერმაკის მონაწილეობით კიდევ ერთ ვიდეომიმართვას ავრცელებს.

პრეზიდენტი აცხადებს, რომ ფრაქციის ლიდერი, პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი, მისი მრჩეველი, პრემიერ-მინისტრი და თავად პრეზიდენტი 100 დღის შემდეგაც კვლავ უკრაინას იცავენ. „ფრაქციის ლიდერი აქ არის, პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი აქ არის, უკრაინის პრემიერ-მინისტრი შმიგალი აქ არის, პოდოლიაკი აქ არის, პრეზიდენტი აქ არის. უკრაინის შეიარაღებული ძალები აქ არის და, რაც მთავარია, ჩვენი ხალხი, ჩვენი სახელმწიფოს ხალხი აქ არის! ვიცავთ უკრაინას უკვე 100 დღეა. ჩვენ გავიმარჯვებთ, დიდება უკრაინას!“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

პოპასნაიას მიმართულებით მე-8 გაერთიანებული შეიარაღებული არმიის 150-ე მოტომსროლელი დივიზიის ცალკეულმა ქვედანაყოფებმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული.

გენშტაბის ცნობით, აღნიშნული მიმართულებით რუსულმა ქვედანაყოფებმა პირადი შემადგენლობის მინიმუმ 50% დაკარგეს, განადგურდა მათი იარაღი და აღჭურვილობა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობა დემორალიზებულია, რაც განპირობებულია მათი როტაციის გამუდმებით გადადებით. ეს იწვევს პერსონალის უარს საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე. ამასთან, გენშტაბში აცხადებენ, რომ უკრაინელმა სამხედროებმა დონეცკსა და ლუგანსკში, გასული დღის განმავლობაში, მტრის 5 შეტევა მოიგერიეს. „განადგურებულია მტრის 5 ტანკი, 3 საარტილერიო სისტემა და ორი საბრძოლო ჯავშანმანქანა. საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებმა „ორალ 10“ ტიპის 3 უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა 30 950 ჯარისკაცი დაკარგეს. 24 თებერვლიდან 3 ივნისამდე მტრის დანაკარგი ასევე მოიცავს 1367 ტანკს, 3366 ჯავშანმანქანას, 661 საარტილერიო სისტემას, 207 მრავალჯერად გამშვებ სარაკეტო სისტემას, 95 საჰაერო თავდაცვის სისტემას, 210 თვითმფრინავს, 175 ვერტმფრენს, 2329 საავტომობილო ტექნიკასა და საწვავის ავზს, 13 ერთეულ გემს/კატერს, 535 უპილოტო საფრენ აპარატს, 51 ერთეულ სპეცტექნიკას, 121 ფრთოსან რაკეტას.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის მიხაილო პოდოლიაკის განცხადებით, უკრაინა აწარმოებს თავდაცვით ომს და არ აპირებს რუსეთში, ობიექტებზე თავდასხმას. მისივე განმარტებით, უკრაინის პარტნიორებმა იციან, სად გამოიყენება მათ მიერ მიწოდებული იარაღი და ნებისმიერი სახის სხვა ბრალდება რუსეთის სპეციალური სამსახურების ფსიქოლოგიური ოპერაციაა.

„რუსეთისთვის დღეს ნომერ პირველი ამოცანა უკრაინასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული ნდობისთვის ძირის გამოთხრაა. უკრაინა აწარმოებს თავდაცვით ომს და არ გეგმავს ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის გამოყენებას რუსეთში ობიექტებზე დარტყმის განსახორციელებლად. ჩვენმა პარტნიორებმა იციან, სად გამოიყენება მათი იარაღი. ნებისმიერი სახის ბრალდება მსგავს განზრახვაზე რუსეთის სპეციალური უწყებების ფსიქოლოგიური ოპერაციაა“, - განაცხადა პოდოლიაკმა.

* * *

გერმანია მკაცრად გმობს რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მცდელობას, შექმნას ნარატივი, რომ აფრიკაში შიმშილობის გამოწვევაზე პასუხისმგებელი დასავლეთია, - ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა განაცხადა. „ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ არსებობს შიმშილის რისკი მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მარცვლეულის ექსპორტი შეწყვეტილია, არა დასავლეთის სანქციების, არამედ რუსეთის აგრესიული ომის შედეგია“, - განაცხადა გერმანიის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ამასთან, კრემლის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „აფრიკის კავშირის“ თავმჯდომარეს შეხვდება, იმისთვის, რომ მსოფლიოში არსებული მზარდი სასურსათო კრიზისი განიხილოს და „სრულყოფილად აუხსნას“, თუ „რა ხდება სინამდვილეში“ უკრაინულ მარცვლეულთან დაკავშირებით.

* * *

ჩვენი დამცველები ახერხებენ სევეროდონეცკში გარკვეული ლოკალური სამხედრო ოპერაციების განხორციელებას, ქალაქი შესაძლოა მალე განთავისუფლდეს - ამის შესახებ ლუგანსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სერჰი გაიდაი „ტელეგრამზე“ იუწყება.

„სევეროდონეცკი დგას და არის ყველა შანსი მისი სწრაფი განთავისუფლებისთვის. დამცველები წარმატებით ახორციელებენ ლოკალურ ოპერაციებს და აქვთ ყველაფერი, რაც სჭირდებათ ორკების რეგიონული ცენტრიდან გასადევნად“, - აღნიშნა გაიდაიმ.

მისივე თქმით, რუსები ქალაქის დიდ ნაწილს აკონტროლებენ, თუმცა უკრაინელი სამხედროები ახერხებენ მნიშვნელოვანი ოპერაციების განხორციელებას. „ისინი აკონტროლებენ ქალაქის დიდ ნაწილს, 20 პროცენტი ნაცრისფერი ზონაა, როგორც ამას სამხედროები ეძახიან. მაგრამ ჩვენი დამცველები იკავებენ პოზიციებს ქალაქის ერთ ნაწილში. უფრო მეტიც, ისინი ახერხებენ გარკვეული ოპერაციების შესრულებას. ამიტომ, მინდა ვუთხრა ყველა სკეპტიკოსს - არ არის საჭირო სევეროდონეცკის ჩამოწერა. ჯერ ადრეა. ქალაქი დგას“, - აღნიშნა გაიდაიმ. მისი თქმით, ჩეჩნეთის ხელმძღვანელი, რამზან კადიროვი ავრცელებს ყალბ ინფორმაციას, რომ „კადიროველები“ სევეროდონეცკს აკონტროლებენ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„კანდიდატის სტატუსი მოგვცემს დამატებით მოტივაციას, ეს იქნება ჩვენი პროგრესის აღიარება“

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბრატისლავაში, გლობალური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე - „აღმოსავლეთ სამეზობლოში მოკავშირეებთან პარტნიორობის განმტკიცება“ კითხვებზე პასუხისას განაცხადა. „ცხადად უნდა განვასხვაოთ, რომ დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ კანდიდატის სტატუსზე და არა წევრობაზე. როგორც პრეზიდენტმა სანდუმ განაცხადა, ჩვენ არ ვეძებთ მოკლე გზებს ან იმას, რაც დაუმსახურებლად მიიღება. ვაცნობიერებთ, რომ ეს არის ხანგრძლივი პროცესი. უნდა გავაგრძელოთ რეფორმები, რომლებიც საკუთარ თავზე ავიღეთ, მაგრამ დღეს ლაპარაკია კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე, ეს კი გახლავთ გზავნილი ყველასთვის, ჩვენი ქვეყნებისთვის, ასევე რუსეთისთვის, ასე რომ, ჩვენ განვახორციელეთ ყველა ეს რეფორმა, გავაძლიერეთ დემოკრატიული ინსტიტუტები, ვდგავართ რეფორმატორების მოწინავე რიგებში არა მხოლოდ ჩვენს რეგიონში, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მედიის თავისუფლების, კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემის რეფორმის მხრივ. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული რეიტინგის თანახმად, საქართველო პირველ ადგილზეა ბიუჯეტის გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ასევე „ბიზნესის წარმოების“ კატეგორიაში და ბევრი სხვა მიმართულებით საქართველო საუკეთესოა. ასე რომ, ჩემი კითხვაა, რატომ - არა? კანდიდატის სტატუსი მოგვცემს დამატებით მოტივაციას. ეს იქნება ჩვენი პროგრესის აღიარება. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ვაცნობიერებთ, რომ ეს არის სამუშაო პროცესი და ჩვენ გავაგრძელებთ რეფორმებს, ამავე დროს, ვიქნებით უფრო მოტივირებულნი, შემართულნი. რა თქმა უნდა, იქნება ევროკავშირის მონიტორინგის მისია. ეს არ არის ერთ დღეში მიღებული გადაწყვეტილება. ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც მივყავართ სრულფასოვანი წევრობისკენ. შესაბამისად, გავიმეორებ, რომ ევროკავშირისგან ჩვენ მოველით ბრძნულ გადაწყვეტილებას, რადგან, მოდით, გულახდილად ვთქვათ: როცა რუსეთი 2008 წელს შემოიჭრა საქართველოში, მსოფლიოში ასე იფიქრეს: „იქნებ დღეს კონტექსტი სხვაგვარია და ასე შემდეგ“. ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ 2008 წლის შემდეგ დედამიწაზე არავის დაუწესებია სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. არავის! პირიქით, ჩვენ გავხდით რუსეთთან ურთიერთობებში ყველა სახის გადახალისების, ახლიდან დაწყების მოწმენი“, - განაცხადა პრემიერმა.

ამირან გურიელიძე

სიახლეები, რომლებმაც ბავშვების სკოლისთვის სრულყოფილად მომზადება უნდა უზრუნველყოს

ნანა აბულაძე 591 98 59 17

პირველ საერთაშორისო კონფერენციას „ადრეული განათლება და ზრუნვა", რომელსაც საქართველოს პარლამენტის, ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმართველობების, აკადემიური წრეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სკოლამდელი დაწესებულებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა

მონაწილეებში, როგორც საქართველოდან, ასევე საზღვარგარეთიდან, განიხილეს ადრეულ განათლებასა და ზრუნვასთან დაკავშირებული მართვის, დაფინანსების, ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და ინკლუზიის საკითხები. სპეციალისტების პრეზენტაციები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადრეული განათლების ინოვაციური და ალტერნატიული მიდგომები, თამაშის როლი ადრეულ განათლებაში, ბავშვის უფლებები ადრეული განათლების კონტექსტში, პროფესიული კომპეტენციები, აღმზრდელ-პედაგოგთა განათლება და პროფესიული განვითარება, მშობლების ჩართულობა და მხარდაჭერა, ინკლუზიური პრაქტიკა და ადრეული ინტერვენცია, ასევე აღნიშნული მიმართულებებით საერთაშორისო პრაქტიკა.

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ამილახვარის განცხადებით, სახელმწიფოს და შესაბამისი უწყებების ვალდებულებაა, პირველივე წლებიდან იზრუნოს ბავშვთა სწორი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, სკოლამდელი განათლება იყოს ადექვატური და პასუხობდეს იმ გამოწვევებს, რაც სასკოლო განათლებას სჭირდება. როგორც გიორგი ამილახვარმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მათი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი, სკოლამდელი განათლების სასკოლო განათლებასთან დაახლოებაა.

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ბავშვებზე ზრუნვა ადრეული, ბაღის ასაკიდან დავიწყოთ, რადგან ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ სწორედ იქ ვითარდება ბავშვის უნარები და ცოდნა, რაც შემდგომ მნიშვნელოვანია სასკოლო განათლებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ გარკვეულ ადგილებში, მათ შორის ბათუმში, არის გარკვეული პრობლემები სკოლებში ადგილებთან დაკავშირებით, მაგრამ განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტთან ერთად, ყველაფერს აკეთებს, აქვს მობილიზებული როგორც საბიუჯეტო რესურსი, ასევე გაწერილი გეგმა, რომ უახლოეს წლებში აშენდება და ახლაც შენდება ახალი სკოლები, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. რაც შეეხება სოციალურად დაუცველებს, ჩვენი ხელისუფლების პირობებში მათი მხარდაჭერა, განსაკუთრებით საგანმანათლებლო კუთხით, არის უპრეცედენტო, ბიუჯეტი არის გაზრდილი. შესაბამისად, სასკოლო, საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების დონეზე მათ სრული მხარდაჭერა აქვთ, - განაცხადა გიორგი ამილახვარმა.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერა ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და ზრუნვის შესახებ კანონის შემუშავებასა და აღსრულებაში. იგი მნიშვნელოვან რეფორმებს მოიაზრებს. ამ ფონდის წარმომადგენლის საქართველოში ღასან ხალილის თქმით, ეს რეფორმები გადამწყვეტია საქართველოში განათლებისა და ზრუნვის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ყველა ბავშვისთვის უკეთესი სერვისების შესაქმნელად.

მნიშვნელოვან რეფორმაზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თაავმჯდომარის პირველმა მოადგილემ. თამარ ტალიაშვილის განცხადებით, რეფორმა რომელიც მომდევნო წლებში განხორციელდება, კერძო და საჯარო ბაგა-ბაღების ავტორიზაციას გულისხმობს.

- შარშან საქართველოს პარლამენტში დაინიცირდა ძალიან მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც გულისხმობს 2030 წლამდე საქართველოში არსებული ყველა სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციას. ეს მოიცავს როგორც საჯარო, ასევე კერძო ბაგა-ბაღებს. მნიშვნელოვანია, რომ ის მაღალი სტანდარტები, რომელიც კანონმა გაითვალისწინა, იყოს დანერგილი და განხორციელებული ბაგა-ბაღებში. შესაბამისად, აღსაზრდელების სხვადასხვა მიმართულებით ჯანსაღი განვითარება ხდება პრიორიტეტული სკოლამდელი აღზრდა-განათლების სისტემაში, - აღნიშნა თამარ ტალიაშვილმა.

საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა. როგორც მან აღნიშნა, „ადრეული განათლება და ზრუნვა" გახდება ის პლატფორმა, სადაც მეცნიერები და გადაწყვეტილების მიმღები პირები ერთმანეთს გაუცვლიან ცოდნას, რაც სამომავლოდ სფეროს განვითარების წინაპირობა გახდება.

- სასიხარულოა, რომ ბათუმი მასპინძლობს საერთაშორისო კონფერენციას ადრეულ განათლებასა და ზრუნვაზე და განიხილება როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები, გეგმები, მნიშვნელოვანია, რომ გაზიარებული იქნება სხვადასხვა ქვეყნების, უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მასალები. ამ ეტაპზე უკვე ვმუშაობთ აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ამავდროულად, ხდება იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც დგას კონკრეტულ ბაღთან მიმართებაში. ამის შემდეგ იგეგმება იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ყველა საჯარო და კერძო სკოლამ, ისევე როგორც ბაღებმა, დააკმაყოფილოს განათლების ერთიანი სტანდარტები, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

კონფერენციას დაესწრო საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, რომელმაც გამოსვლაში ბავშვებისთვის ადრეული ასაკიდან ხარისხიანი განათლების მიღების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

- ადრეული განათლება და ზრუნვა მოიცავს ნულიდან 8 წლამდე ბავშვების განათლებისა და განვითარების შესახებ მეცნიერულ ცოდნას და პროფესიულ პრაქტიკას. ეს ასაკი ცხოვრების ყველაზე სენსიტიური და კრიტიკული პერიოდია, ეს არის ინტენსიური ზრდის და განვითარების ეტაპი. ადრეული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა აერთიანებდეს ბავშვების განვითარების ყველა ასპექტს, პროგრამები, რომლებშიც ბავშვები არიან ჩართული, უნდა პასუხობდეს დარგის პრაქტიკულ, აკადემიურ, პროფესიული განვითარების ტენდენციებს და გამოწვევებს, - აღნიშნა ელისო ბოლქვაძემ.

საერთაშორისო კონფერენცია „ადრეული განათლება და ზრუნვა" ყოველწლიურად გაიმართება.

კულმინაცია – ოთხმა ორგანიზაციამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა, ბოლო წლებში ადამიანების საგანგაშო რაოდენობა შეეწირა დამსაქმებელთა დაუდევრობას, შრომის უსაფრთხოების წესების უგულებელყოფას

პროფკავშირები, მათ შორის აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება ამ პრობლემის გამოსწორებისთვის ყოველთვის იბრძოდა. ამჯერადაც, 2 ივნისს სასტუმრო რედისონში გამართულ კონფერენციაში, რომლის თემა იყო „პარტნიორული სისტემის განვითარება საქართველოში გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გასაუმჯობესებლად", იგი აქტიურად ჩაერთო. კონფერენციის ორგანიზატორები არიან სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის საერთაშორისო ასოციაცია" (VDSI) (ხელმძღვანელი - კარშაინც კალენბერგი) და ააიპ „ბიზნეს საქართველო" (BG) (პრეზიდენტი - მიხეილ კორძახია).

კონფერენციის ორგანიზებასა და მსვლელობაშიც, როგორც ვთქვით, აქტიურად მონაწილეობდა ა(ა)იპ „პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება" (თავმჯდომარე - ზურაბ ცეცხლაძე, თავმჯდომარის მოადგილე - ლევან გურგენიძე).

კონფერენციის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ, აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი ლევან დავითაძე, აჭარის დასაქმების სააგენტოს დირექტორი თემურ კახიძე, ა(ა)იპ „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი" (FDEC) (ხელმძღვანელი - ლიკა კილაძე), ა(ა)იპ „საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატის წარმომადგენლობა აჭარაში" (თამაზ თურმანიძე) და სხვა ბიზნესკომპანიებისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გაიმართა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით საქართველოში არსებული საწყისი მდგომარეობის პრეზენტაცია, ხოლო შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კვალიფიკაციებსა და მათი განხორციელების გზებზე ისაუბრეს VDSI-ის წარმომადგენლებმა კ. კალენბერგმა, ლ. ჰუბერმა, ჰ. ენესმა და უ. მილკემ.

კონფერენციის მუშაობის დასკვნით ეტაპზე განცხადება გააკეთა აჭარის პროფესიული კავშირების თავმჯდომარე ზურაბ ცეცხლაძემ: „უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება საქართველოში ჩვენი პარტნიორი მეგობარი და დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნის მონაწილეობით, სადაც შრომის უსაფრთხოებისა და შრომის უფლებების დაცვის საკითხები სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან. ჩვენი მიზანია, გადმოვიღოთ მათგან საუკეთესო მაგალითები სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის, მოსალოდნელი საფრთხეებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიმართულებით", - თქვა მან.

ასევე, აღინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი ტერიტორიული კომისიის (მისი ერთ-ერთი წევრიც არის აჭარის პროფკავშირები) როლისა და ფუნქციის შესახებ და მსგავსი პროექტების განხორციელებისას ამ კომისიის ჩართულობის შესახებ.

კონფერენცია რამდენიმე სესიად წარიმართა და თემატური პროექტების წარდგენის პარალელურად, ერთობლივი რეკომენდაციების მიღებით დასრულდა. კულმინაციად იქცა ზემოაღნიშნული ოთხი ორგანიზაციის მხრიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს „აჭარის რეგიონში, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების, გარემოსდაცვითი მმართველებისა და შრომის სამართლის იურისტების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც დაეფუძნება საერთაშორისო დონეზე არსებულ საუკეთესო პრაქტიკას".

მარი მიდასელი

„არაფერი უკრაინაზე – უკრაინის გარეშე"

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომ უკრაინის



გადასაწყვეტია, დათმობს თუ არა თავისი ტერიტორიის ნაწილს მშვიდობის მისაღწევად და რუსეთის შეჭრის დასასრულებლად. „თავიდანვე ვთქვი და ყველა არ დამეთანხმა: არაფერი უკრაინაზე - უკრაინის გარეშე. ეს მათი ტერიტორიაა. მე არ ვაპირებ მათ ვუთხრა, რა უნდა გააკეთონ და რა არ უნდა გააკეთონ", - აღნიშნა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა დასძინა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი უკრაინის მხარდაჭერას გააგრძელებს.

ამირან გურიელიძე

ჟოლო რეგიონის ბუნებრივ პირობებს მოერგო

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გურამ ძირკვაძე სოფელ დიოკნისის მკვიდრია, ხულოში მან პირველმა დაიწყო ჟოლოს წარმოება. დღეს იგი გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.

- როგორ დაიბადა ჟოლოს წარმოების დაწყების იდეა?

- სკოლის დამთავრების შემდეგ, 1988 წელს, მუშაობა დავიწყე მძღოლად, 2010 წელს დავკარგე სამუშაო. უმუშევრობის პერიოდში დავინტერესდი სოფლის მეურნეობით. 2014 წელს საერთაშორისო ორგანიზაციამ „კარიტასი“ მომაწოდა კენკროვანი კულტურის ნერგები. დავრგე ოთხი სხვადასხვა ჯიშის ჟოლო და მხოლოდ ორი შეეგუა ჩვენს ბუნებრივ პირობებს. პირველ წელს საცდელად ცოტა დავრგე, შესაბამისად, მოსავალიც მცირე იყო. ბაზარზე რომ გავიტანე, ძალიან დიდი მოთხოვნილება დამხვდა, მე კი საკმარისი რაოდენობა არ მქონდა. მოგეხსენებათ, სოფელი დიოკნისი ბათუმიდან 100 კილომეტრით არის დაშორებული. ამ მანძილზე ტრანსპორტირება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, პროდუქტზე მოთხოვნილება იზრდებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, ამ საქმიანობის დაწყების იდეა თანასოფლელებისთვის გამეზიარებინა. ნერგები გამოვიყვანე და გავეცი მიზერულ ფასში, ზოგიერთს ვაჩუქე კიდეც და თითქმის ყველა ჩავერთეთ ამ ბიზნესში.

- როგორ განვითარდა თქვენი საქმიანობა?

- პირველ წელს მხოლოდ 300 კვადრატულ მეტრზე გავაშენე ეს კულტურა, საიდანაც ავიღე 200 კილოგრამი ნაყოფი, მეორე წელს - 1000 კვადრატულზე - 800 კილოგრამი, შარშან კი 20 ჰექტარზე მოსავალმა 100 ტონაზე მეტს მიაღწია.

- ფიქრობთ თუ არა ბიზნესის გაფართოებას?

- წარმოება იზრდება მაშინ, როცა იზრდება მომხმარებლის რაოდენობა, თუ ასე მოხდა, რა თქმა უნდა, გავზრდით კიდეც.

- რამდენი ადამიანი დასაქმდა?

- რეგიონში 200 კომლია ჩართული ჟოლოს წარმოებაში, პირადად მე 10 ადამიანი დავასაქმე, ოჯახის წევრების გარდა.

- რა გამოწვევები შეგხვდათ?

- მოგეხსენებათ, ჟოლო მალფუჭადი პროდუქტია, ამიტომ მისი ტრანსპორტირება აუცილებელია სამაცივრე მანქანებით. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ბიოპროდუქციის წარმოებაზე, ეს მომხმარებლის აუცილებელი მოთხოვნაა, ამიტომ არ ვიყენებთ შხამქიმიკატებს პარაზიტების მოსაცილებლად, რომლებიც ჟოლოს უჩნდება. მომხმარებელმა იცის ამის შესახებ და ჩვენ ვასწავლით პარაზიტების მოშორების ეფექტურ ხერხს - დაახლოებით 20 წუთი უნდა გააჩერონ ნაყოფი გამდინარე წყალში და სრულებით გათავისუფლდება მავნებლებისგან. შხამქიმიკატებით დაწამლული ჟოლო ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს.

- სახელმწიფო როგორ შეიძლება დაგეხმაროთ ამ ბიზნესში?

- შექმნას სამაცივრე მეურნეობა, რაც გაამარტივებს ჩვენს საქმიანობას, შეამცირებს პროდუქციის გაფუჭების რისკს და მომხმარებელს სწრაფად მივაწვდით ხარისხიან პროდუქციას.

- მე ვარ მომხმარებელი, რატომ უნდა შევიძინო თქვენთან წარმოებული ჟოლო, რითი გამოირჩევა?

- პირველ რიგში, მთის ჟოლო უფრო სასარგებლოა, ვიდრე ბარისა, ასევე, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ არ ვიყენებთ შხამქიმიკატებს, მთლიანად ორიენტირებულნი ვართ ბიოწარმოებაზე. თანაც, როცა ბარად მოილევა, ჩვენთან მერე შემოდის ეს კენკროვანი. მომხმარებლის მოთხოვნას ჩვენს პროდუქტზე სულ ვგრძნობთ, რადგანაც ისეთი ხარისხის პროდუქციას ვაწოდებთ, როგორიც სურთ.

მართლაც, ძალიან სასიამოვნოა, რომ. გურამ ძირკვაძემ იპოვა ის კულტურა, რომელიც მოერგო რეგიონის ბუნებრივ პირობებს და შეცვალა აქაურების ეკონომიკური მდგომარეობა, ვუსურვოთ მას წარმატებები.

მზექალა ბოლქვაძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სლოვაკურ კომპანია „ინობატ ენერჯის“ (Inobat Energy) შორის ხელი მოეწერა განზრახულობათა წერილს, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას საქართველოში დამაგროვებელი ბატარეების ტექნოლოგიის დანერგვა-განვითარების კუთხით.

ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ხელმოწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სლოვაკეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. ასევე, საქართველოს მხრიდან განზრახულობათა წერილს ხელი მოაწერა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

„კომპანია „ინობატ ენერჯი“ ბატარეების წარმოების კუთხით მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მოწინავე ევროპული კომპანიაა. მასთან თანამშრომლობა ითვალისწინებს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის მოქნილობის და საიმედოობის გაუმჯობესებას, აგრეთვე ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას. ჩვენ ვგეგმავთ საქართველოში დამაგროვებელი ბატარეების ტექნოლოგიის დანერგვის საპილოტე პროექტის განხორციელებას, რომლის შედეგებზეც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ამ ტექნოლოგიური სიახლის შემდგომი დანერგვა ქვეყნის ენერგეტიკულ მეურნეობაში. ჩვენ მივესალმებით ინოვაციებს ენერგეტიკაში, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ამირან გურიელიძე

რატომ გვექავება კანი?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

კანზე გამონაყარის დროს ქავილი იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგრამ დიდი ნიშანი ჩნდება მაშინ, როცა კანის ქავილი ვითარდება ყოველგვარი გამონაყარის გარეშე. ასეთი ქავილის ყველაზე ხშირი მიზეზი უბრალოდ, კანის სიმშრალეა. მშრალი კანი - ქსეროზი ვითარდება ტენის დაკარგვის ფონზე, ზოგჯერ იქერცლება კიდეც. ასეთი რამ ხშირია ხანდაზმულ ასაკში, უმეტესად - ცივ თვეებში. კანის ქავილს იწვევს კოღოს, ობობას, ტკიპას ნაკბენი, რომელიც შესაძლოა თვალისთვის შეუმჩნეველიც კი იყოს.

რაც შეეხება დაავადებებს, გამონაყარის გარეშე ქავილს იწვევს:

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები - ქავილი ამ დროს კანის გამოშრობის ბრალია, განსაკუთრებით ჰიპოთირეოზის დროს. ამასთან, პაციენტს აღენიშნება დაღლილობა, სიცივისადმი მომატებული მგრძნობელობა, შეკრულობა, წონის მატება, სახის შეშუპება, დეპრესია, მეხსიერების დაქვეითება და ა.შ. ყოველივე ეს საჭიროებს ენდოკრინოლოგთან კონსულტაციას;

თირკმლის ქრონიკული დაავადებები - თუკი თირკმელები დაავადებულია, მათი ფუნქცია ქვეითდება და შესაძლოა, სხეულში სითხე, ელექტროლიტები, ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები დაგროვდეს. თირკმლის ქრონიკული უკმარისობის დროს კანის ქავილის მიზეზია სიმშრალე, ოფლის გამოყოფის შემცირება, სისხლში ტოქსინების დაგროვება, ანთებითი პროცესები... კანი ამ დროს გამოყოფს აზოტის ნარჩენ პროდუქტებს, რომელიც ნერვულ დაბოლოებებს აღიზიანებს და ქავილს იწვევს. გარდა ქავილისა, თავს იჩენს გულისრევა-ღებინება, უმადობა, დაღლილობა, სისუსტე, ძილის შაბლონის დარღვევა, კუნთების თრთოლა, კრუნჩხვები, სახისა და ფეხის შეშუპება, გულმკერდის არეში ტკივილი და ქოშინი, ჰიპერტენზია... თირკმლის ფუნქციის დარღვევას წინ შეიძლება უსწრებდეს შარდკენჭოვანი დაავადება, საშარდე გზების ინფექციები, არანამკურნალევი შაქრიანი დიაბეტი... სასურველია ამ სიმპტომების არსებობის შემთხვევაში ნეფროლოგის ან უროლოგის კონსულტაცია სათანადო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ფონზე. მძიმე უკმარისობის შემთხვევაში ტარდება დიალიზი, შედეგად შემაწუხებელი ქავილი ქრება;

ღვიძლის დაავადებები - ღვიძლი, როგორც თირკმელი, ფილტრავს და ასუფთავებს სისხლს. ქოლესტაზმა, ნაღვლის შეგუბებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კანის ქავილი გამონაყარის გარეშე, ქავილს თან ახლავს შარდის გამუქება, განავლის გაბაცება, კანის და სკლერების სიყვითლე. ღვიძლის დაავადებების დროს ქავილი ჭარბობს ხელისგულებსა და ტერფებზე, ძლიერდება სითბოში, ღამით...

პანკრეასის დაავადებები - ამ დროსაც ქავილი ქოლესტაზით არის გამოწვეული;

რკინადეფიციტური ანემია - ახასიათებს დაღლილობა, კანის სიფერმკრთალე, ტკივილი გულმკერდის არეში, გულისცემის აჩქარება, ქოშინი, თავის ტკივილი, თავბრუხვევა, გონების დაკარგვა, ხელებისა და ფეხების გაცივება, ენის ტკივილი, ფრჩხილების მსხვრევადობა, ასევე, ხშირ შემთხვევაში კანის ქავილიც გამონაყარის გარეშე. სისხლის საერთო ანალიზიც კი საკმარისია რკინადეფიციტური ანემიის გამოსავლენად. საჭიროა კონსულტაცია ჰემატოლოგთან;

ნერვების დაზიანება - ნერვებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შესაძლოა გამოიწვიოს კანის ქავილი ან ტკივილი ხილული დაზიანების გარეშე;

შაქრიანი დიაბეტი - ქავილის მიზეზია კანის სიმშრალე და ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფა კანის გზით. დაგროვილი ნივთიერებები სხეულის ნერვულ დაბოლოებებს აზიანებს და ვითარდება ნეიროპათია. ქავილი მცირდება გლუკოზის დარეგულირებით, ასევე, კანის დატენიანებით;

სარტყლისებრი ლიქენი (ჰერპეს ზოსტერი) - ვირუსული დაავადება, რომელიც წვას, ტკივილს, ჩხვლეტას, დაბუჟებას და ქავილს იწვევს. ქავილი ხშირად თავს იჩენს ბუშტუკოვანი გამონაყარის გაჩენამდე 1-5 დღით ადრე. სამკურნალოდ ანტივირუსული პრეპარატები გამოიყენება;

ნერვზე ზეწოლა, კომპრესია - იწვევს ტკივილს, ჩხვლეტას, დაბუჟებას, სისუსტეს, ზოგჯერ ქავილს. კონსერვატიული მკურნალობა ხშირად გამოჯანმრთელებას იძლევა, ზოგჯერ კი ქირურგიული ჩარევაა გამოსავალი;

კიბო - ზოგჯერ ქავილიც არის დამახასიათებელი სხვა სიმპტომებთან ერთად, უპირატესად მელანომის დროს;

ფსიქიკური დარღვევები - შფოთვა, დეპრესია, ფსიქოზი, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა ქავილის მიზეზად შეიძლება იქცეს. ძლიერი ფსიქოემოციური გადაძაბვისა და სტრესის ფონზე ხშირად ვითარდება დაუძლეველი ქავილის სინდრომი, რომელიც უწამლოდაც გაივლის სტრესის მოხსნის შემდეგ;

აივ-ინფექცია - დაბალი იმუნიტეტის ფონზე ვითარდება კანის სიმშრალე, დერმატიტი, ეგზემი, ფსორიაზი. ქავილის შესამცირებლად აუცილებელია ინფექციის მკურნალობა, კანის დატენიანება, ანტიჰისტამინური მედიკამენტები, ფოტოთერაპია...

მედიკამენტები - ოპიოიდების ჯგუფის ტკივილგამაყუჩებლები, ამლოდიპინი, სტატინები, B_3 ვიტამინი (PP), სისხლის გამათხელებლები, ანტიმალარიული პრეპარატები, ანტიბიოტიკები, დიაბეტის სამკურნალო საშუალებები ხშირად იწვევს კანის ქავილს ყოველგვარი გამონაყარის გარეშე. წამლის მიღების შეწყვეტასთან ერთად ქავილიც ქრება.

თუ კანი მგრძნობიარეა და ხშირად იჩენს თავს «უმიზეზო» ქავილი, ერიდეთ ქიმიკატების შემცველი ჰიგიენური საშუალებების გამოყენებას, ბინის ჰაერი რეგულარულად დაანოტივეთ, შხაპის შემდეგ იხმარეთ დამატენიანებელი კრემი, დაიბანეთ თბილი და არა ცხელი წყლით. გამოიყენეთ ურეცეპტოდ გასაცემი ქავილის საწინააღმდეგო კრემები, კორტიკოსტეროიდული კრემები (მცირე დროით!), მენთოლის ან ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები. მიიღეთ ანტიალერგიული პრეპარატები. გეცვათ მსუბუქად და თავისუფლად, ნატურალური ქსოვილის ტანსაცმელი, ერიდეთ ოფლიანობას.

თუ ქავილი შემაწუხებელია, ვრცელდება მთელ სხეულზე, ახლავს დაღლილობა, წონის კლება, ნაწლავური აშლილობები ორი კვირაზე მეტია, გრძელდება, მიზეზს ვერ პოულობთ, ხელს გიშლით ძილში და ყოველდღიური ცხოვრების რიტმი დაგერღვათ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 3/06/22, 20 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

კოტე მესხიძე და მატვეი ვასილკოვსკი – რეგატის საუკეთესო ნიჩბოსნები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ფოთში ჩატარდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ოლიმპიურ ჩემპიონ ვიქტორ კრატასიუკის სახელობის რეგატა, რომელშიც თბილისის, რუსთავის, მცხეთის, დუშეთის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის ნიჩბოსნები მონაწილეობდნენ

შეჯიბრება ერთ და ორადგილიან კანოეთი და ბაიდარით 200 და 500-მეტრიან დისტანციებზე გაიმართა. საქართველოს მასშტაბით, მცხეთის შემდეგ, ბათუმი მეორე ქალაქია აღებული მედლების რაოდენობით.

რეგატის გამარჯვებულები ორადგილიან კანოეთი გახდნენ მატვეი ვასილკოვსკი და კოტე მესხიძე (200 მეტრზე), მათ ერთადგილიანი კანოეებით კიდევ ორ-ორი ბრინჯაო (200 და 500 მეტრზე) დაისაკუთრეს.

სხვადასხვა დისტანციაზე (500 და 200 მეტრზე) ბაიდარით სამი ბრინჯაო მოიპოვა ფეოდორ მალევმა, ორ-ორი ბრინჯაო კი არსენ საზონომ (კანოე) და რომა ლუკიანენკომ (ბაიდარი).

ჩვენი ნიჩბოსნების მწვრთნელია ვეტერანი ბათუმელი ნიჩბოსანი ედნარ ჩაზმავა. ახალგაზრდობაში ის საქართველოს ნაკრების წევრი იყო, 1974-1975 წლებში მისი მწვრთნელი მიხეილ ლომთათიძე გახლდათ. მაშინ ნიჩბოსნობა ბათუმელთათვის სპორტის ერთ-ერთი საყვარელი სახეობა იყო და აქ ბევრი სპორტსმენი ვარჯიშობდა. ახლა 15 სპორტსმენში შეიძლება მხოლოდ 2 იყოს ქართველი. სწორედ მისმა აღსაზრდელებმა ასახელეს ბათუმის ნიჩბოსანთა სკოლა. სხვათა შორის, ფეოდორ მალევი, რომელიც წელს ფოთის რეგატაზე მესამე ადგილს დასჯერდა, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონია. ამ გამარჯვებისთვის ის ფულადი პრემიით დააჯილდოვა ბათუმის მერიამ. როგორც მწვრთნელმა გვითხრა, ბიჭები ახლა საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან, რომელსაც ერევანი 25-27 ივნისს უმასპინძლებს. იქ ჩვენი შვიდი სპორტსმენი გაემგზავრება.

- ჩვენი ნიჩბოსნები აქ ნებისმიერ ამინდში ვარჯიშობენ, - გვითხრა ედნარ ჩაზმავამ, - თუ ძალიან ცუდი ამინდია, მაინც მოდიან და შენობაში ფიზიკურად ვავარჯიშებთ. გული მწყდება, რომ ამ სპორტით ქართველი ბავშვები აღარ ინტერესდებიან. არადა, ნიჩბოსნობა სპორტის შესანიშნავი სახეობაა. ბავშვები თუ მას მიჰყვებიან, ჯანმრთელები იზრდებიან. სხვათა შორის, ეს სპორტი ძალიან უწყობს ხელს ფილტვების გაჯანსაღებას, არჩენს ოსტეოქონდროზს, ეგრეთ წოდებული ქათმის მკერდის დაავადებასაც ძალიან შველის. ჩვენს ერთ სპორტსმენს ჰქონდა ეს დაავადება და ერთ წელიწადში უკეთ იყო, მერე საერთოდ მოურჩა და ახლა ჩემპიონობაც კი მოიპოვა. ეს სპორტი ხერხემლის გამრუდებასაც შველის, მაგრამ ამას დრო, სისტემატური ვარჯიში უნდა. ბავშვებს ათი წლის ასაკიდან ვიღებთ, ოღონდ მთავარი პირობაა, ცურვა აუცილებლად იცოდეს, - გვითხრა მან.

ამჟამად ბათუმის კლუბში სპორტის ამ სახეობას 100-მდე ბავშვი ეუფლება. მეოთხე წელია, რაც მეცადინეობები, 35-წლიანი პაუზის შემდეგ, აღდგა და სასიხარულოა, რომ უკვე ხელშესახები წარმატებებიც გვაქვს. ნაკრები 11 სპორტსმენით იყო წარდგენილი, აქედან ხუთმა კარგი შედეგი დადო და სხვადასხვა სინჯის 11 მედალი მოიპოვა.

- რა თქმა უნდა, პანდემიამ გავლენა ჩვენზეც იქონია, თუმცა წარმატებები უკვე გვაქვს. აქვე ჩემი გულისტკივილიც მინდა გამოვხატო. ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ინვენტარი. ქალაქის მერიამ ექვსი ნავი შეგვიძინა, მაგრამ ამდენი მოსწავლისთვის ეს არასაკმარისია. ვიცით, რომ კიდევ აპირებენ შეძენას და ეს ძალიან კარგი იქნება. ისიც ვიცით, რომ ნავების შეძენა დიდი ფუფუნებაა, ძვირი ჯდება, მაგრამ აუცილებელია. ორადგილიანი ნავების პრობლემა აღარ გვაქვს, ერთადგილიანები კი ცოტაა. ოცდაათ ბავშვს 15 ნავი არ ჰყოფნის, ამიტომ ელოდებიან, როდის გამოთავისუფლდება ნავი. ეს არ არის სპორტის ის სახეობა, რომ ინვენტარი, მაგალითად, ბურთი, სადაც გინდა, იქ წაიღო და ითამაშო რამდენიმესთან ერთად. ზოგჯერ ეს ლოდინი ბავშვებს ბეზრდებათ და მიდიან. ეს მართლაც პრობლემაა. კარგი იქნება, თუ ბიზნესმენები, სპონსორები დაგვიდგებიან გვერდით, რადგან სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება, - გვითხრა აჭარის ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, ქალაქ ბათუმის მერიის სპორტულ ცენტრთან არსებული ნიჩბოსნობის კოორდინატორმა რეზო ეზიეშვილმა.

მორიგი წარმატებები

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

თბილისში, სპორტკომპლექს არენაში, საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს პირველობა - 2022 მაგიდის ჩოგბურთში გოგონათა და ვაჟთა შორის, რომლის მიზანი იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატების გამოვლენა და გუნდის დაკომპლექტება. პირველობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებიდან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მოწვეული ნაკრები გუნდები.

აღნიშნულ შეჯიბრებაზე იასპარეზა ხულოს მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდმაც.

მრავალი ტურნირის მსგავსად, ამ შეჯიბრებაზეც ხულოელმა ჩოგბურთელებმა, დებმა მარი და თაკო რიჟვაძეებმა პირველობა არავის დაუთმეს და დამსახურებულად მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული წყვილებს შორის.

მარი რიჟვაძე პირად პირველობაზეც უძლიერესი გამოდგა. თაკო რიჟვაძე მეორე ადგილზე გავიდა. ლანა მელაძე მინი კადეტებში მესამე ადგილს დასჯერდა გოგონათა წყვილში, დიანა აბულაძე კადეტებში - მეორე ადგილს შერეულ წყვილში.

ანრი მელაძე კადეტებში პირადში მეორე ადგილზე გავიდა, შერეულ წყვილშიც მეორეზე. ასევე, ვაჟთა წყვილში მეორე ადგილი აიღო. ხულოელი სპორტსმენების წარმატება მწვრთნელ მინური რიჟვაძის თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია.

შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელს ფინანსური მხარდაჭერა ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ გაუწია.

ვეტერანების ტურნირი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის ინიციატივითა და ბათუმის მერიის სპორტული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმის ღია პირველობა გაიმართა ვეტერანებს შორის სპორტის ხუთ სახეობაში.

მაგიდის ჩოგბურთში პირველი, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები ქალბატონებსა და მამაკაცებში შესაბამისად დაიკავეს: აბიბა კადიევამ, სვეტლანა უტიანსკაიამ, ნინო აბაშიძემ, ოთარ დოჭვირმა, იგორ ოვაკიმიანმა, ალექსანდრე ჩხარტიშვილმა, შაშში: მედეა ბიბილეიშვილმა, ნინო აბაშიძემ, ეთერ ჩავლეიშვილმა, ტარიელ ტაბაღუამ, ჯუმბერ კოკობინაძემ; ნარდში: ეთერ ჩავლეიშვილმა, ეთერ ნაკაშიძემ, თალიკო გაბეჩავამ, ზურაბ ლორთქიფანიძემ, ავთანდილ დავითაძემ, ზაზა ფინტურიამ; დარტსში: თალიკო მგელაძემ, სვეტლანა უტიანსკაიამ, ანჟელა პანასენკომ, ოთარ დოჭვირმა, იგორ ბოჯკომ, ზურაბ ლორთქიფანიძემ; ჭადრაკში: მედეა ბიბილეიშვილმა, სვეტლანა უტიანსკაიამ, თალიკო გაბეჩავამ, ქაზიმ გორაძემ, შოთა ბასკურიძემ, დავით ძნელაძემ.

ვეტერანთა პირველობას უძღვებოდა აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე შალვა ტაბაღუა.

იტალიელები „კვარას“ თამაშს ეხმაურებიან

მოგეხსენებათ, გუშინწინდელ მატჩში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ჰიბრალტარი დიდი ანგარიშით - 4:0 დაამარცხა.

იტალიური მედია ხვიჩა კვარაცხელიას ბრწყინვალე თამაშს ეხმაურება. რომელმაც აქტივში გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა.

იტალიური გამოცემა Spazionapoli აღნიშნულ შეხვედრას ასე ეხმაურება:

„ხვიჩა კვარაცხელია აგრძელებს საკუთარი შესაძლებლობების ჩვენებას. „ნაპოლის“ მარცხენა ვინგერმა საქართველოს ნაკრებს ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ჰიბრალტართან ულიდერა. ამ მატჩამდე ხვიჩა ბათუმის „დინამოში“

იტანდა გოლებს და არიგებდა ასისტებს, თუმცა ახლა უკვე მისი შედეგიანობა ნაკრებშიც მსგავსია“.

მეორე ნეაპოლური გამოცემა Mondonapoli ქართველის შესახებ წერს:

„ნაპოლის“ ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია საკუთარ ნაკრებს წინ მიუძღვის და თავს გატანილი გოლითა და ასისტით იჩენს. პირველი გოლი ბრწყინვალე გამოვიდა - ფეხბურთელმა ბურთი ლამაზად მიიღო, დაამუშავა და მეკარეს თავზე ოსტატურად გადაუგდო. ნეაპოლელი გულშემატკივრები „კვარას“ ხელგაშლილები ელიან“.

შეგახსენებთ: ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩი ხვალ - 5 ივნისს გაიმართება. ჩვენი ფეხბურთელების მეტოქე ბულგარეთის ნაკრებია.

ამირან გურიელიძე